ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 მაისი, ხამშაბათი, 1990 წ.
№ 99 (10 268) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



**შაბათს და კვირას, 26 და 27 მაისს თამამად შეიძლება ეწოდოს საქართველოში ეროვნული მოძრაობის საზეიმო დღეები. ეს დღეები სპორტულმა ღონისძიებებმაც დაამშვენა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფეხბურთში ეროვნული ნაკრების პირველი მატჩი ლიტველებთან, ასევე ფეხბურთში ჭაბუკთა შორის მ. კოხტაშვას სახელობის გარდამავალი თასის პირველი გათამაშება 26 მაისის სახელობის სტადიონზე და ა. შ. ფოტოსურათებზე, რომლებსაც აქვე გთავაზობთ, საქართველოში ორი დღის სპორტული ცხოვრების ზოგიერთი მომენტია ასახული.**



● ვაკე, 26 მაისის სახელობის სტადიონი. ისევე როგორც ამ 72 წლის წინათ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ზეიმზე კვლავ გამოჩნდნენ ქართველი მხედრები.



● 1990 წლის 27 მაისი. თბილისი, ეროვნული სტადიონი. საქართველო-ლიტვა — პირველი ამხანაგური შეხვედრა ეროვნული ნაკრებების დონეზე.




● ქართული ფეხბურთის პატრიარქის ბორის პაიჭაძის დაბადებიდან 75 წლისთავი ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა ხალხმაც სიყვარულით აღნიშნა.



● გასულ კვირას თბილისში სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის პირველი სახეობა — შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა: პირველი გუნდური ადგილი, ექვსი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი.

ამ ტურნირისადმი მიძღვნილ მასალებს გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.





● ოთარ გაბელიამ თავი გაანება ფეხბურთის თამაშს. თანაგუნდელებმა და ფეხბურთის მოყვარულებმა მადლიერების გრძნობით გააცილეს იგი დიდი სპორტიდან.



● მერაბ კოხტაშვას სახელობის გარდამავალი თასის პირველი გათამაშების მომენტი. ფინალი: „მერანი“ — „ავაზა“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.

# ხრისტინა ფალასანიდის ორი „ოქრო“

**ლენინგრადი.** სამხედრო საზღვაო ფლოტის საცურაო აუზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის მეცხრე ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა პირველი საბჭოთა ევროპის ჩემპიონი თბილისელი ხრისტინა ფალასანიდი, რომელმაც ერთბაშად ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

სოლისტთა შეჯიბრებაში მას არ ჰყავდა ბადალი. ტექნიკურმა და უაღრესად მომხიბლავმა თბილისელმა სპორტსმენმა ბრწყინვალედ შეასრულა ყველა ვარჯიში და ასეთი შეჯიბრებებისათვის უჩვეულო სხვაობით, მთელი 4,3 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს, მოსკოველ ელენა აზაროვას. ფალასანიდის შედეგია 189,430, აზაროვასი კი — 185,130. მესამე ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა მოსკოველ გალინა მაქსიმოვასა და ლენინგრადელ ანა კოზლოვას შორის. ბრინჯაოს ჯილდო საბოლოოდ ლენინგრადელს დარჩა — 184,800 ქულა.

ფალასანიდიმ კიდევ ერთი ოქროს მედალი მიიღო კიეველ ელენა ფოშევსკაიასთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის.



სურათზე: ხ. ფალასანიდი.

## [illegible]

**ამ დღეებში** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის მეორე გათამაშება ათლეტიზმის ძალისმიერ სამჭიდში.

ეს იყო პირველი შეჯიბრება, რომელიც სულ ახლახანს დაფუძნებული საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ეგიდით გაიმართა.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ:

52 კგ. — ვასილ გიგუაშვილი (თსუ „ამირანი“)

56 კგ. — ივანე ამონაშვილი („ისანი“)

60 კგ. — მამუკა შენგელია (სიღნაღი, „ამირანი“).

67,5 კგ. — დავით მერაბიშვილი (სიღნაღი, „ამირანი“).

75 კგ. — დავით დავითური (თსუ — „ამირანი“)

82,5 კგ — დავით ბეჟანიშვილი (თელავი, „ამირანი“).

90 კგ. — სოლომონ ჩეკურიშვილი (თელავი, „ამირანი“)

100 კგ. — ალექსანდრე აბულაძე („ისანი“)

110 კგ — ზურაბ ჰავჰანიძე (თსუ „ამირანი“)

125 კგ. შოთა ბეჟაშვილი (სიღნაღი, „ამირანი“).

შეჯიბრებაზე დამყარდა საქართველოს 10 რეკორდი, რომელთაგან ერთი აღემატება ვ. ლეკონცევის სსრ კავშირის რეკორდს (305 კგ) — დავით ბეჟანიშვილმა 307,5 კგ ჩაბუჭნა. ამ დღეს დ. ბეჟანიშვილს 40 წელი შეუსრულდა. მეორე რეკორდსმენი ზ. ჰავჰანიძე კი 37 წლის სწორედ იმ დღეს გახდა.

გამარჯვებულებს გადაეცათ კოტე ზაუტაშვილის სახელობის თასები.

### საკავშირო თასის გათამაშება სასტენდო სროლაში

# ...და მაიაც

**თუმცა** შეჯიბრება რესპუბლიკების გუნდებს შორის ჩატარდა, მაგრამ საქართველოს მსროლელები მხოლოდ პირად პირველობაში მონაწილეობდნენ. ეს ცოტა საკვირველიც არის, რადგან, ვთქვათ, მრგვალ სტენდზე სროლაში, საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს, რომელიც საკავშირო შეჯიბრებებში მუდამ ფავორიტთა შორისაა. მაგრამ ახლა იგი წლევანდელმა დებულებამ, უფრო სწორედ კი, მისი განხორციელების სირთულემ დაალალატა. საქმე ისაა, რომ მესტენდურეებს წინასწარ სათანადო ლიცენზიები უნდა მოეპოვებინათ, რომლებიც რეგიონალურ შეჯიბრებებზე თამაშდებოდა.. მსროლელთა ერთობლივი შეჯიბრებების ჩატარება, გასაგები მიზეზების გამო, ყველაზე მეტად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გაძნელდა და ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობაც მკვეთრად შემცირდა.



თუმცა მოსკოვში, მაინც იასპარეზა საქართველოს შვიდმა სპორტსმენმა, მათ შორის, ერთადერთმა გოგონამ — მაია გუბიევამ. ესეც საკვირველია, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება სწორედ მას ხვდა წილად.

მაიამ შესანიშნავად ჩაატარა ყველა, — რვავე სერია — ადგილიდან სროლაში და აშკარა უპირატესობით აჯობა მეტოქეებს, რომელთა შორის ტიტულოვანი სპორტსმენებიც (მსოფლიო ჩემპიონებიც კი) იყვნენ: ლარიჩევა, ლაზარევა, შიშირინა... თბილისელმა მსროლელმა, რომელსაც მამა-შვილი — ლევან და გელა სიმონიანები ავარჯიშებენ, 181 ქულა მოაგროვა და მთელი 7 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული მოსკოველი ირინა ლაზარევა.

ამ წარმატების შემდეგ მაია მყისვე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს და, ჩვენი მწვრთნელების აზრით, მისი მონაწილეობა ევროპისა და თვით მსოფლიო ჩემპიონატში ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

იუნიორებში საკმაოდ კარგად გამოვიდა თბილისელი გელა მგალობლიშვილი, რომელმაც VI ადგილი დაიკავა ადგილიდან სროლაში. ჩვენი გამოცდილი მსროლელებიდან კი ვერავინ მოხვდა სუპერფინალში (საუკეთესო ექვსეულში), თუმცა ეს ტრაგედიად არ უნდა ჩავთვალოთ. თამაზ იმნაიშვილს, რომელიც X ადგილზე გავიდა, გამარჯვებულისგან ერთადერთი (!) ქულა აშორებდა. ჩვენი ნაცადი ოსტატის ძალას კი კარგად იცნობენ და იგი მაინც მსოფლიო თასის სამ ეტაპზე საასპარეზოდ გაგზავნეს, ცხადია, ლიცენზიებზე „სანადიროდ“, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებს ახლა ძალიან სჭირდება მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ეს შეჯიბრება კი მოსკოვში გაიმართება აგვისტოს პირველ ნახევარში.

სურათზე: მაია გუბიევა.

# პირველი გუნდის სახელით

**სეულის** ოლიმპიადის ჩემპიონმა, სამხრეთკორეელმა კიმ სო ნიუნგმა დაადასტურა თავისი მაღალი რეპუტაცია და გაიმარჯვა ეშერაში გამართულ მშვილდოსანთა საერთაშორისო ტურნირში („გაზაფხულის ისრები — 90“). მან ფიტას დიდი წრიულის ფინალში 337 ქულა მოაგროვა და 9 ქულით ჩამოიტოვა ამერიკელი დენის პარკერი. მოსკოველი ლუდმილა არჟანიკოვა მესამე ადგილზე გავიდა — 327 ქულა. თბილისელებმა, ნატო ნასარიძემ (323) და ხათუნა ქვრივიშვილმა (313) შესაბამისად მეექვსე და მერვე ადგილები დაიკავეს.

ვაჟთა შორის უძლიერესი იყო 54 წლის(!) ამერიკელი ედ ელიასონი — 330 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა სამხრეთკორეელი იანგ ჩონგ ჰონი — 323, მესამეზე — დუშანბელი ვადიმ შიკარევი — 312.

გუნდურ შეჯიბრებაში ქალთა შორის გაიმარჯვა სამხრეთ კორეის ნაკრებმა — 1011 ქულა. საჭიროა აღინიშნოს, რომ მან ნახევარფინალში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1011 ქულა. **მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა (1005), რომლის ღირსებას იცავდნენ 17 წლის ნატო ნასარიძე და 16 წლის ხათუნა ქვრივიშვილი.** გუნდის მესამე წევრი იყო გამოცდილი მსროლელი, 31 წლის ლუდმილა არჟანიკოვა. ეს ჩვენი სპორტსმენებისთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა, მით უმეტეს, რომ ორივემ ფინალში გასვლაც მოახერხა. შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრები — 960.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა სამხრეთ კორეის გუნდმა — (989 ქულა), რომელმაც 16 ქულით აჯობა ამერიკელებს. მესამე ადგილზე აქაც სსრ კავშირის მეორე გუნდია — 972. სულ ამ შეჯიბრებაში სამი მსოფლიო და სამი საკავშირო რეკორდი დამყარდა. ერთის ავტორი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ნატო ნასარიძე გახლავთ. მან და ხათუნა ქვრივიშვილმა საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი და ალბათ, მათ მალე მაღალი რანგის, ოფიციალურ ჩემპიონატებში ვიხილავთ.

**თენგიზ პაჭკორია,**
**ჩვენი საკ. კორ.**

**სოხუმი.**

# ვასილ დავიდენკო—მსოფლიო ჩემპიონატის ტრასაზე

**ტოკიო.** ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში, როგორც ცნობილია, აგვისტოში იაპონიის ქალაქ ნაგოიაში უნდა ჩატარდეს. ამ ასპარეზობაში მონაწილეობის დიდი შანსი აქვს თბილისელ ვასილ დავიდენკოს. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა იგი სპეციალურად არ შეიყვანეს იმ ნაკრების შემადგენლობაში რომელიც მშვიდობის ველორბოლაში ასპარეზობდა. მიზანი მარტივი იყო — დავიდენკო უნდა გამოეცადათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ტრასაზე.

ეს გამოცდაც შედგა და თბილისელმა ველოსიპედისტმა იგი ბრწყინვალედ ჩააბარა. ნაგოიაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობის პირველ სახეობაში — 64,5 კილომეტრზე რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა ფრანგ ფილიპ ლაურეს შემდეგ, თანაც გამარჯვებულს მხოლოდ 12 მეასედი წამით ჩამორჩა.

# განზრახვა კარგი იყო, მაგრამ...

**ვანში** გამართულ კეტბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში (იმ 8 გუნდის მონაწილეობით, რომელთა შორის VII-XIV ადგილები უნდა განაწილდეს) ჩვენი რესპუბლიკის ორმა წარმომადგენელმა იასპარეზა — თბილისის „ასკ-მერანმა“ და „ივერიამ“. პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში მათ არც თუ სახარბიელო ადგილები ეკავათ (შესაბამისად, X და XIII), ამიტომ ვანში მთელი ძალით უნდა ებრძოლათ ქულათა მარაგის შესავსებად. დებულების თანახმად, პირველი ოთხეული, უკვე ცნობილ 6 უძლიერეს გუნდთან ერთად, გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. ამ მიზანთან უფრო ახლოს იყო „მერანი“, რომელიც 4 ქულით ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა.

სასტარტო მატჩში მერანელებმა ოთხეულში მოსახვედრად ბრძოლაში თავიანთ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს დამაჯერებლად სძლიეს (23:11) და, ეტყობა, ზედმეტად ირწმუნეს საკუთარი შესაძლებლობები, რადგან მეორე დღეს სწორედ ამის გამო დაისაჯნენ აუტსაიდერთან, მოსკოვის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრაში. მოსკოველებმა, რომელთაც 14 მატჩიდან მხოლოდ ერთი ჰქონდათ მოგებული, ამ ორთაბრძოლაში შეძლეს ქართველი კეტბურთელების დამარცხება — 12:9. აქვე შევნიშნავთ, რომ მომავალმა ავიატორებმა ვანში გამართული დანარჩენი 6 შეხვედრა პირწმინდად წააგეს.

ამ დასანანი მარცხის შემდეგ, „მერანმა“ მომდევნო ორი მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა — მოუგო ლენინგრადის „სპექტრანსს“ (18:15) და „ივერიას“ (21:9). მორიგი მეტოქე იყო კიევის „ბიტოვიკი“ — ტურის ნამდვილად უძლიერესი გუნდი, რომლის თამაში ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. კიეველები შეხვედრას შეხვედრაზე იგებენ, დამაჯერებლად ლიდერობენ შეჯიბრებას და, რომ იტყვიან, ცალი



გია ახალაძის ფოტო.

ფეხი უკვე უმაღლეს ლიგაში უდგათ. „მერანის“ მწვრთნელებმა „ბიტოვიკთან“ მატჩში რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიეველებმა გაიმარჯვეს — 15:7.

ტაშკენტის „მონტაჟნიკთან“ პირველი წრის შეხვედრა „მერანმა“ შინ მოიგო — 9:6. ამჯერადაც თავიდან ყველაფერი ჩინებულად წარიმართა — ქართველი კეტბურთელები მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ და მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, ანგარიშიც საიმედო იყო 9:1, მაგრამ... ერთ შეცდომას მეორე მიემატა, თავი იჩინა ნერვიულობამ და საბოლოოდ „მერანმა“ თითქმის მოგებული ორთაბრძოლა დათმო —13:15.

ასეთი „ცივი შხაპის“ შემდეგ „მერანმა“ ტურის ბოლო შეხვედრა დიდი მონდომებით ჩაატარა და დაამარცხა ხაბაროვსკის „ვოსხოდის“ ძლიერი გუნდი — 16:14.

ამრიგად, „მერანმა“ შვიდი შეხვედრიდან ოთხი მოიგო და ამჟამად სატურნირო ცხრილში იმ სანუკვარ მეათე ადგილზე იმყოფება, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშის გარანტიას იძლევა.

ასევე ოთხი გამარჯვება მოიპოვა „ივერიამაც“. სტარტზე განცდილი ორი მარცხის შემდეგ („მონტაჟნიკთან“ 7:15 და „ვოსხოდთან“ 4:5) „ივერიამ“, როგორც იქნა, „იპოვა თავისი 'თამაში“, მისი შეტევები უფრო ორგანიზებული და, რაც მთავარია, შედეგიანი გახდა. მან დამაჯერებელი ანგარიშით 15:4 სძლია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს. „სპექტრანსთან“ შეხვედრაში თბილისელ კეტბურთელებს სურდათ დაემტკიცებინათ, რომ პირველი წრის მატჩში წაგება საკუთარ მოედანზე შემთხვევითი იყო. „ივერიამ“ მთელი შეხვედრა ალმავლობით ჩაატარა და დიდი უპირატესობით სძლია მეტოქეს—26:3. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ტურნირის სარეკორდო ანგარიში. ასევე აშკარა იყო „ივერიის“ უპირატესობა სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტის გუნდთან მატჩშიც — 20:3. ბოლო ტურში კი ქართველმა კეტბურთელებმა თვით „ბიტოვიკის“ დამარცხება შეძლეს — 16:7.

ვანში წარმატებით ასპარეზობის შემდეგ, „ივერიამ“ სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით მაღლა აინაცვლა.

უმაღლესი ლიგის საგზურების მფლობელთა ვინაობა გაირკვევა ბოლო ტურში, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში ტაშკენტში გაიმართება. სადღეისოდ კი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „ბიტოვიკი“ — 13 ქულა, „მონტაჟნიკი“ — 10, „ვოსხოდი“—9, „მერანი“—8, „ივერია“—6, „სპექტრანსი“ — 6, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 5, სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი — 2.

ახლა ტურნირის ორგანიზაციული მხარე ვნახოთ. როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მოსკოველმა ვ. პეტროსიანმა აღნიშნა, მასპინძლებმა სპორტსმენები მშვენივრად დააბინავეს. მას არც სტადიონების მიმართ გამოუთქვამს პრეტენზია. სასიამოვნოა, რომ ვანელებმა ამჯერადაც ჩვეული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და, ფაქტიურად, გადაარჩინეს ჩაშლის პირას მდგარი ტურნირი, რომლის ჩატარება თავდაპირველად თბილისში იყო დაგეგმილი, მაგრამ სასტუმროებში ადგილების უქონლობის გამო დედაქალაქმა ვერ შეძლო 150 კაცის მიღება. მაშ, რაღა ფასი ჰქონდა ტურნირის ჩვენთან გამართვას ან საკუთარი კედლების რა უპირატესობა მისცა მან თბილისის ორი გუნდის წევრებს, რომლებიც 10 დღით მოწყდნენ ოჯახებს?

ბუნებრივია, ვინც ტურის თბილისში ჩატარება განიზრახა, კეთილი სურვილები ამოძრავებდა. სპორტის ახალდანერგილი სახეობის პოპულარიზაციისათვის იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს, როდესაც ლამაზად ჩაცმულ-დახურული ამდენი სპორტსმენი ერთი კვირის მანძილზე მაყურებელს უჩვენებს თავის ოსტატობას? უკეთეს თვალსაჩინო გაკვეთილს ხომ ვერც ინატრებდა ორასამდე ნორჩი კეტბურთელი, რომლებიც სადღეისოდ რესპუბლიკაში ერთადერთ თბილისის სპეციალიზებულ სპორტსკოლაში ეუფლებიან ამ ძალზე საინტერესო და თავისებური სახეობის ანბანს. სამწუხაროდ, ეს საუკეთესო საშუალება ხელიდან გავუშვით.

**გია ახალაძე.**

# „ნათლობის" მატჩი

1990 წლის 27 მაისი უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. რესპუბლიკის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ამხანაგურ მატჩში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ლიტვის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. თავისუფლებისთვის მებრძოლმა ამ ორმა ერმა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი რთული გზა იმითაც დაიწყო, რომ ცენტრის საფეხბურთო დიქტატს დააღწია თავი და დამოუკიდებლად უძღვება თავის რთულ საფეხბურთო მექანიზმს. ამ მატჩზე ბევრი თაობის გულშემატკივარი და ფეხბურთელი ოცნებობდა — გეცვას შენი ქვეყნის ეროვნული მაისური და ისმენდე შენი ქვეყნის ჰიმნს, ცოტას როდი ნიშნავს.

ზეიმი ცენტრალურ სტადიონზე იმით დაიწყო, რომ ქართული ფეხბურთის ბერმუხას ბატონ ბორის პაიჭაძეს მაყურებელმა დაბადების 75 წელი მიულოცა. ბ. პაიჭაძის შეუდარებელ საფეხბურთო ფენომენზე ბევრი დაწერილა და თქმულა, ვისაც კი მცირედი წარმოდგენა მაინც გააჩნია ჩვენს ფეხბურთზე, არ შეიძლება პირველ რიგში ბ. პაიჭაძე არ დაუდგეს თვალწინ. სწორედ პაიჭაძის თაობის ფეხბურთელებმა შეძლეს პირველებმა შეჰიდებოდნენ იმ დროისთვის გრანდებად წოდებულ მოსკოვის და ლენინგრადის ძლიერ კლუბებს, ხშირ შემთხვევებში ისინი ჯაბნიდნენ კიდეც ტიტულოვან მეტოქეებს. ბორის პაიჭაძეს ქართულ ფეხბურთში გაწეული უდიდესი დამსახურებისა და დაბადების 75 წლის აღსანიშნავად რესპუბლიკის სპორტსახკომმა და მისმა საწარმოო კომბინატმა, როგორც სპონსორმა, საჩუქრად ავტომანქანა გაზ-24 გადასცა.

თბილისის „დინამოს" ბევრი ბრწყინვალე წარმომადგენელი გასულ წლებში ისე ამთავრებდა საფეხბურთო კარიერას, რომ საზეიმო გაცილება კი არა, უბრალო მადლობაც არავის უთქვამს მათთვის. საბედნიეროდ, უკანასკნელ წლებში, როგორც ბევრ უმსგავსო ტრადიციას, ამასაც დაესვა წერტილი. ყველა ფეხბურთელს, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა სპორტს შეალია, საკადრისი მიეზღვება.

13 წელი იცავდე რესპუბლიკის პირველი გუნდის კარს, ცოტას როდი ნიშნავს. ქართველი მეკარეების არც ერთი თაობის წარმომადგენელს არ უთამაშია ასე დიდხანს და ასე სტაბილურად, როგორც ოთარ გაბელიას, არც ერთ ჩვენს მეკარეს, რომელიც რესპუბლიკის პირველი გუნდის კარს იცავდა, არ დაუგროვებია უმაღლესი სინჯის იმდენი მედალი, რამდენიც გაბელიას. და აი, 37 წლის ვეტერანი ვალმოხდილი მიდის დიდი სპორტიდან, დიდი სპორტიდან და არა ფეხბურთიდან.

რამდენიმე თვეა, რაც ო. გაბელია სათავეში ჩაუდგა ზუგდიდის „ოდიშს", მისი საფეხბურთო ნათლობაც სწორედ ამ ქალაქიდან იწყება. მისალოცი სიტყვა, რომელიც ამ დღეს ო. გაბელიას მიეძღვნა, ასე მთავრდებოდა: „შენ კიდევ სჭირდები ქართულ ფეხბურთს". იმედია, ო. გაბელია სამწვრთნელო ასპარეზზეც იტყვის თავის სათქმელს. „იბერიის" საფეხბურთო კლუბმა ბოლო წლებში ქართულ ფეხბურთში გაწეული უდიდესი დამსახურებისათვის ოთარ გაბელიასაც საჩუქრად გაზ-24 მარკის მანქანა გადასცა.

და აი, ნანატრი წამიც. მინდორზე საქართველოსა და ლიტვის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები გამოდიან, ცენტრალური სტადიონის თავზე ორი ქვეყნის ეროვნული დროშები ფრიალებს, ჰიმნებისა და ტრადიციული მისალმების შემდეგ, ეს ისტორიული შეხვედრა დაიწყო.

პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ ლიტველები უფრო მომზადებული გამოიყურებოდნენ ამ შეხვედრაზე და ალბათ არც არის გასაკვირი, რადგან სტუმართა ნაკრები უკვე რამდენიმე თვეა ერთი შემადგენლობით გადის საწვრთნელ ციკლს. პირველი ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით მასპინძელთა კარში ლიტვის ერთ-ერთმა უძლიერესმა ფეხბურთელმა ნარბეკოვასმა გაიტანა. გაშვებული ბურთის შემდეგ ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ, მაგრამ პირველ ნახევარში ორივე გუნდის მცდელობას, შეეცვალათ სხვაობა ანგარიშში, შედეგი არ მოჰყოლია. საპასუხო ბურთი სტუმართა ნაკრების კარში 62-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა გ. გურულმა, მან 23 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი — 1:1.



ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, მაგრამ ტერიტორიულ უპირატესობას მაინც ლიტველი სპორტსმენები ფლობდნენ. ერთ-ერთი მახვილგონივრული კომბინაციის შემდეგ ახლო მანძილიდან ბალტუშნიკასმა მეორედ აიღო ჩვენი გუნდის კარი — 2:1. შეხვედრას წერტილი შეცვლაზე გამოსულმა კ. კაჭარავამ დაუსვა, რომელმაც 81-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში — ფრე — 2:2. ასე დამთავრდა ეს ისტორიული მატჩი. გუნდებმა შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს. **საქართველოს ნაკრები:** ბალაძე, კეტაშვილი, ცხადაძე (კაჭარავა), კუდინოვი, ფირცხალავა, ნადირაძე, ქეცბაია, რევიშვილი (თორლაშვილი), კორღალიძე (ბიგვავა), გურული, ფანცულაია (გოგრიჭიანი); **ლიტვის ნაკრები:** მარტინკენასი, (კონციავიჩუსი), ბუზმაკოვი, ნარუშიავიჩუსი, მაჟეიკასი, იანონისი (ბალტუშნიკასი), ტაუტკუსი, ჩირბა, ივანაუსკასი, ფრიდრიკასი, სუკრისტოვი, ნარბეკოვასი.

მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ ლიტვის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ბენიამინას ზელკიავიჩუსს:** „მოხარული ვარ, რომ პირადად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი ამ ჭეშმარიტ საფეხბურთო ზეიმს. ქართველი ხალხის მასპინძლობაზე არაერთხელ მსმენია, მაგრამ ჩვენი ნაკრების წლევანდელმა ჩამოსვლამ საქართველოში და ჩინებულმა მასპინძლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მთელი ჩვენი გუნდის სახელით მადლობას მოვახსენებ ყველას, ვისაც კი ოდნავი წვლილი მიუძღვის ამ მატჩის ორგანიზაციაში ჩვენი რესპუბლიკები დამოუკიდებელ ჩემპიონატს ატარებენ. საქართველოს ამ მხრივ ჩვენზე უკეთეს პირობებში უხდება ჩემპიონატის გამართვა, რადგანაც თანაბარი დონის რამდენიმე გუნდი ჰყავს. აი, ჩვენთან კი, მარტო „ჟალგირისი" ითვლება ანგარიშგასაწევ ძალად. ასეთ შეხვედრებს კი ორივე რესპუბლიკისთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია. თქვენთან 4 ივნისამდე დავყოფთ და საკონტროლო მატჩების სერიას ჩავატარებთ საქართველოს კლუბებთან.

**ზაზა კახაძე.**



ფოტო ისტორიისათვის: საქართველოსა და ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა პირველი შეხვედრის წინ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



# ამიერიდან ყოველწლიურად

**ქარბა ხანს** არ ასვენებდა ეს იდეა თამაზ ჯაშს, საფეხბურთო სკოლა „მერანის" პედაგოგს. ბოლოს, როცა აზრი საბოლოოდ მომწიფდა, მისი განხორციელების დროც დადგა. ახლა მხოლოდ თანამდგომლები და ხელისშემწყობნი უნდა მოეძებნა... საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ბავშვთა პირველმა ეროვნულმა ტურნირმაც არც თუ ისე მოკლე ხანში შეისხა ხორცი.

ტურნირი 5 დღეს მიმდინარეობდა საქართველოს 12 საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობით.

შეჯიბრება საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა, წმინდა სპორტული პრინციპების გარდა, ასპარეზობის ყველა მონაწილე გრძნობდა თუ რაოდენ დიდი პატივი იყო მათთვის დიდი მამულიშვილის სახელობის ტურნირში მონაწილეობა.

უშეღავათო ბრძოლების შემდეგ ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის გუნდებმა — „მერანმა" და „ავაზამ".

ფინალური შეხვედრა გაიმართა 26 მაისს, მერაბ კოსტავას დაბადებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს.

თბილისის 26 მაისის სახელობის სტადიონზე ბევრმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

საინტერესო ორთაბრძოლაში „ავაზამ" დაამარცხა „მერანი" — 2:1 და თასსაც დაეუფლა. ეს თასი უსასყიდლოდ დაამზადა კოოპერატივ „ფიროსმანის" მხატვარმა-დიზაინერმა სერგო სავანელმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მონაწილეებს და მაყურებლებს მიმართა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. ალბათ, ზედმეტი არ იქნება გავაცნოთ ის ადამიანები, ვინც მხარში ამოუდგნენ თამაზ ჯაშს და შეძლეს ამ შესანიშნავი იდეის — მერაბ კოსტავას სახელობის ბავშვთა პირველი ეროვნული საფეხბურთო ტურნირის ჩატარების ხორცშესხმა: ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სპორტკლუბის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქაჯაია, საფეხბურთო სკოლა „მერანის" დირექტორი დავით აბაშიძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.

**ლევან ჯავახიშვილი.**



მერაბ კოსტავას სახელობის თასის პირველი მფლობელი თბილისის „ავაზას" ფეხბურთელთა გუნდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# სსრ კავშირის ნაკრების განაცხადი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მისამართით გაგზავნა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ოფიციალური განაცხადი. 22 ფეხბურთელმა, რომლებიც მიწვეული იყვნენ მოსკოვის მახლობლად ნოვოგორსკში საწვრთნელ შეკრებაზე, გაიარა შესაბამისი ტესტირება, მსოფლიო ჩემპიონატზე ისინი ითამაშებენ თავიანთი მუდმივი ნომრებით:

1. რინატ დასაევი („სევილია", ესპანეთი), 2. ვლადიმერ ბესონოვი („დინამო", კიევი), 3. ვაგიზ ხიდიატულინი („ტულუზა", საფრანგეთი), 4. ოლეგ კუზნეცოვი („დინამო", კიევი), 5. ანატოლი დემიანენკო („დინამო", კიევი), 6. ვასილი რაცი („დინამო", კიევი), 7. სერგეი ალეინიკოვი („იუვენტუსი", ტურინი, იტალია), 8. გენადი ლიტოვჩენკო („დინამო", კიევი), 9. ალექსანდრე ზავაროვი („იუვენტუსი", ტურინი, იტალია), 10. ოლეგ პროტასოვი („დინამო", კიევი), 11. იგორ დობროვოლსკი („დინამო", მოსკოვი), 12. ალექსანდრე ბოროდიუკი („შალკე-04", გფრ) 13. ახრიკ ცვეიბა („დინამო", კიევი), 14. ვლადიმერ ლიუტი („შალკე-04", გფრ), 15. ივან იარემჩუკი („დინამო", კიევი), 16. ვიქტორ ჩანოვი (დინამო", კიევი), 17. ანდრეი ზიგმანტოვიჩი („დინამო", მინსკი), 18. იგორ შალიმოვი („სპარტაკი", მოსკოვი), 19. სერგეი ფოკინი (ცსკა, მოსკოვი), 20. სერგეი გორლუკოვიჩი („ბორუსია", დორტმუნდი, გფრ), 21. ვალერი ბროშინი (ცსკა, მოსკოვი), 22. ალექსანდრე უვაროვი („დინამო", მოსკოვი).

ისინი იტალიაში გამოვლენ

# ესპანეთი



**ესპანეთის** ნაკრები შვიდჯერ გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ტურნირში, ორჯერ მიაღწია მეოთხედფინალამდე. ბოლო ჩემპიონატზე, მექსიკაში ბელგიელებმა მხოლოდ მატჩის შემდგომი პენალტების სერიის შედეგად დაამარცხეს ესპანელები და ნახევარფინალში გავიდნენ, 1982 წელს კი, ესპანელებმა შინ, „საკუთარ კედლებშიც" ვერ შეძლეს წარმატების მოპოვება და პირველივე ეტაპის შემდეგ გამოეთიშნენ ასპარეზობას.

წარუმატებლად ასპარეზობენ ესპანელები კონტინენტის პირველობებზეც. მათ ყველა ფინალურ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ, 1984 წელს მოიპოვეს ვერცხლის მედლები.

რითია გამოწვეული ეს წარუმატებლობები? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, გუნდის უფროსი მწვრთნელის ლუის სუარესისთვის უპირველესი საზრუნავია.

ლონდონელი ბუკმეკერების აზრით, კარს მომდგარ მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანელებს აქვთ გამარჯვების გარკვეული შანსი. ისინი წარმატების ერთ-ერთ გარანტიად ფეხბურთელების მატერიალური წახალისების ფაქტს იშველიებენ. 155.500 გირვანქა სტერლინგი — ასეთ ჯილდოს მიიღებს ყოველი ფეხბურთელი გამარჯვების შემთხვევაში. ეს სოლიდური თანხა გროვდება ცალკეული ჯილდოებისგან, რომელსაც ნაკრების წევრებს მისცემენ ყოველ შემდგომ ეტაპზე გასვლისთვის. რაც შეეხება მწვრთნელს, იგი ორმაგ პრემიას მიიღებს.

უცხოურ პრესაში გააკრიტიკეს კიდეც ესპანეთის ნაკრების კანდიდატები იმის გამო, რომ მათ ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყეს ფულზე ლაპარაკი.

„ჩემი აზრით, როდესაც ლაპარაკია ასეთი მაღალი კლასის ტურნირზე, ყველა საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს.

— ასეთია ლუის სუარესის აზრი.

— რაც შეეხება ჩვენს მიზნებს, უპირველესია მერვედფინალის გადალახვა. თუ ჯგუფში გავიმარჯვებთ და მომდევნო ეტაპზე გავალთ, შემდეგ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მთავარია იტალიაში ჩავიდეთ დაწყნარებულები და გავაკეთოთ შესაძლებლობის მაქსიმუმი, მანამდე კი, მაისის დასაწყისში, მთელი შემადგენლობით შევიკრიბებით მადრიდში, შემდეგ გავემგზავრებით იტალიაში და რამდენიმე საწვრთნელ მატჩს გავმართავთ ადგილობრივ კლუბებთან.

პირველ მატჩს ჩემპიონატზე ურუგვაელებთან გავმართავთ. ეს, ცოტა არ იყოს, მაღელვებს, მთავარია ამ მატჩში არ დავმარცხდეთ, რადგანაც ძალზე ძნელი იქნება შემდგომში ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა, რათა ორივე მატჩი მოიგო".

გავეცნოთ ესპანეთის ნაკრების კანდიდატებს:

**მეკარეები** — ანდონი სუბისარეტა (დაიბადა 1961 წლის 23 ოქტომბერს, თამაშობს „ბარსელონაში"), ხოსე-მანუელ ოჩოტორენა (16.01.61, „ვალენსია"), ხუან-კარლოს აბლანედო (2.09.63, „სპორტინგი" ხიხონი); **მცველები** — მიგელ-პორლან ჩენდო (12.10.61, „რეალი" მადრიდი), მანუელ ხიმენესი (21.01.64, „სევილია"), მანუალ სანჩისი (23.05.65, „რეალი" მადრიდი), ხენარო ანდრინუა (9.05.64, „ატლეტიკო" ბილბაო), ხუანიტო (ხუან როდრიგესი, 10.05.65, „სარაგოსა"), კიკე (ენრიკე სანჩეს ფლორესი, 2.02.65 „ვალენსია"), ტომასი (ტომას რენონესი, 9.08.60, „ატლეტიკო" მადრიდი), ალბერტო გორისი (16.02.58, „რეალი" სოსიედადი), **ნახევარმცველები** — მიჩელი (მიჩელ გონსალესი, 23.03.63, „რეალი" მადრიდი), რაფაელ მარტინ-ვასკესი (25.09.65, „რეალი" მადრიდი), რობერტო (რობერტო ფერნანდესი, 9.07.63, „ბარსელონა"), ლუის მილია (12.03.66, „ბარსელონა"), ეუსებიო (ეუსებიო საკრისტანი, 13.04.64, „ბარსელონა"), ფერნანდო (ფერნანდო გომესი, 11.09.65, „ვალენსია"), ფრანსისკო-ხავიერ ვილიაროია (6.08.66, „სარაგოსა"); **თავდამსხმელები** — მანოლო (მანოლო სანჩესი, 17.01.65, „ატლეტიკო" მადრიდი), ემილიო ბუტრაგენიო (22.08.63, „რეალი" მადრიდი), ხულიო სალინასი (11.09.62, „ბარსელონა"), ხოსე-მარია ბაკერო (11.02.63, „ბარსელონა"), მიგელ პარდესა (8.02,65, „სარაგოსა"), ელოი (ელოი ოლაია 10.07.64, „ვალენსია").

ჯგუფში მოწინააღმდეგეებიდან ესპანელები ოფიციალურ მატჩებში სამხრეთ კორეელებს არ შეხვედრიან, დანარჩენ ორ მეტოქესთან კი ასეთი ბალანსი აქვთ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 15 | 5 | 5 | 5 | 26:18 |
| **ურუგვაი** | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 |

შესარჩევ ტურნირში ესპანეთის ნაკრებმა რვა შეხვედრა გამართა: ესპანეთი — ირლანდია 2:0, ესპანეთი — ჩრ. ირლანდია 4:0, მალტა — ესპანეთი 0:2, ჩრ. ირლანდია — ესპანეთი 0:2, ესპანეთი — მალტა 4:0, ირლანდია — ესპანეთი 1:0, უნგრეთი — ესპანეთი 2:2, ესპანეთი — უნგრეთი 4:0.

**ბიორგი ქორქია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი და X სპარტაკიადა მშვილდოსნობაში

# მასპინძლობაც ამას ჰქვია!

**საქართველოს** სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელის (მშვილდოსნობაში) — ლაშა მჟავანაძის აზრით, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატები სწორედ ისე უნდა გაიმართოს, როგორც იგი ჩატარდა რამდენიმე დღის წინ ხელვაჩაურში. ახალგაზრდა სპეციალისტს ასპარეზობის ორგანიზაციული მხარე ჰქონდა მხედველობაში. „საამისოდ ყველაფერი გააკეთეს“, — თქვა მან აღნიშნული სპორტული ბაზის ხელმძღვანელებისა და მომსახურე პერსონალის მისამართით. მსაჯობის დონეც მოწოდების სიმაღლეზე ყოფილა (მთავარი მსაჯი გივი დავითაშვილი, მდივანი — რუბენ კაცობაშილი) და ჩემპიონატს მართლაც ჩემპიონატის სახე ჰქონია (ერთდროულად ტარდებოდა X სპარტაკიადაც).

ჩვენ საფუძველი არ გვაქვს, არ ვერწმუნოთ სახელმწიფო მწვრთნელის ნათქვამს, მით უმეტეს, რომ ბათუმის სტუმრებს მასპინძელთა ყურადღება ჩასვლის პირველი წუთებიდანვე არ მოკლებიათ, მათ ყველა გადასაჭრელი საკითხი (სასტუმრო, ავტობუსი, კვება...) ოპერატიულად მოუგვარებიათ. „აჭარის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი იანგული კუსიდი პირდაპირ თან გადაგვყვა“ — ასე დაამთავრა თავისი „სამადლობელო სიტყვა“ ლ. მჟავანაძემ.

ნებისმიერი ასპარეზობის საერთო დონეს ძირითადად ორი რამ განაპირობებს. ორგანიზაცია და თვით სპორტსმენთა ოსტატობა. და თუ მეორე პირობა მხოლოდ მრავალწლიანი შრომით მიიღწევა, პირველი ხშირად უბრალო რამეზე — მონდომებაზე ჰკიდია, ისეთზე, როგორიც გამოიჩინეს მშვილდოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მასპინძლებმა.

რაც შეეხება მონაწილეთა შედეგებს... ადრეც ხშირად გვითქვამს, რომ მშვილდოსნობა მეტად რთული, ტექნიკური სპორტის სახეობაა, სრულად გამართული მშვილდისარი 150 სხვადასხვა დეტალისგან შედგება და ყველა ისინი, ცალცალკე თუ ერთად აღებული, გვარიანი თანხა ღირს (ძირითადად ვალუტა უნდა გადაიხადო). ასე რომ, ჩვენს პირობებში ხელს ფართოდ ვერ გაშლი. ამ თვალსაზრისით თითქოს ბუნებრივი იყო, რომ ჩემპიონატში მხოლოდ თბილისის (ორი გუნდი), აჭარისა და ქუთაისის ნაკრებები მონაწილეობდნენ, მაგრამ ორგანიზატორებმა სხვებიც მოისაკლისეს: უკვე მიცემული თანხმობის მიუხედავად ბათუმში არ ჩამოსულან ზუგდიდელები, ხოლო აფხაზეთის გუნდის წარმომადგენლებმა ადრე თქვეს უარი. ლაშა მჟავანაძის აზრით, ორივე შემთხვევაში მიზეზი ერთი იყო: ზუგდიდშიც და აფხაზეთშიც ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემად რჩება მწვრთნელის საკითხი, მშვილდოსნობის კარგი სპეციალისტები, ფაქტობრივად არ ჰყავთ და სხვა რეგიონიდანაც არავინ ჩადის იქ სამუშაოდ. კიდევ კარგი, ქუთაისში ეს საქმე მოგვარდა: ახალგაზრდა მწვრთნელების — მიხეილ ჩხეიძისა და ვანო გოშხეთელიანის მონდომება დიდ იმედებს იძლევა. ეშერის ოლიმპიური ბაზა და ზუგდიდის საკმაოდ კარგი სასროლეთი კი, ძირითადად, შეკრებაზე მყოფ სპორტსმენთა სავარჯიშოდ და საასპარეზოდ თუ გამოიყენება...

ხელვაჩაურის სპორტულ ბაზაზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩვეულებრივ, კარგად იასპარეზეს გოგონებმა. ვაჟების გამოსვლა კი, ასე ვთქვათ, „დამაკმაყოფილებელი“ იყო. ეს გასაგებია, ნატო ნასარიძემ, ხათუნა ქვრივიშვილმა და სულიკო თოფურიამ იმდენად გამოიჩინეს თავი საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში. სხვადასხვა ასაკის საკავშირო ნაკრებებში მოხვდნენ. კარგი შედეგები აქვთ მათ სხვა თანაგუნდელებსაც. ვაჟებს კი არც ისე კარგად აქვთ საქმე.

ამ ჩემპიონატშიც ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა ნატო ნასარიძემ გაიმარჯვა. 18 წლის თბილისელმა მშვილდოსანმა „ფიტას დიდი წრის“ ფინალში 323 ქულა მოაგროვა. ნასარიძის მწვრთნელები არიან ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ალექსანდრე მეჟევიძე.

მეორე ადგილი დაიკავა თბილისის 132-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ხათუნა ქვრივიშვილმა, რომელმაც ბოლო ხანს მკვეთრად გააუმჯობესა შედეგები. იგი ნასარიძეს 7 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა ბათუმელი ასმათ დიასამიძე — 315 ქულა.

ვაჟებში 317 ქულით საუკეთესო იყო თბილისელი სერგო გატიკაევი (მწვრთნელები — ალექსი კაპიტონოვი და ვასო ნაცვლიშვილი), რომელმაც მთელი 17 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ აჭარის გუნდის წევრს — სერგო ბერიძეს;. გატიკაევის თანაგუნდელი ვლადიმერ სვანაძე მესამე იყო — 294 ქულა.

ამ შეჯიბრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს საუკეთესო მშვილდოსნები ჩაებნენ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც „გაზაფხულის ისრების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

213 ქვარცხლბექი

**საქართველოს ჩემპიონატი**

**ქალები.** 1. ნ. ნასარიძე — 323; 2. ხ. ქვრივიშვილი (ორივე —თბილისი) — 316; 3. ა. დიასამიძე (აჭარა) — 315.

**გუნდური.** 1. თბილისი-I (ნ. ნასარიძე, ს. თოფურია, რ. მჟავანაძე) — 929 ქულა; 2. აჭარა — 912; 3. თბილისი-II — 837.

**ვაჟები.** 1. ს. გატიკაევი (თბილისი) — 317; 2. ს. ბერიძე (აჭარა)— 300; 3. ვ. სვანაძე (თბილისი)— 294.

**გუნდური.** 1. აჭარა (ს. ბერიძე, თ. ფუტკარაძე, თ. ბასილაძე) — 853; 2. თბილისი-II—838; 3. თბილისი-I — 833.

**საქართველოს X სპარტაკიადა**

ჩემპიონატისა და X სპარტაკიადის პირადი პირველობის შედეგები ანალოგიური იყო, ამიტომ გაცნობებთ მხოლოდ გუნდური პირველობის საბოლოო ცხრილს.

**ქალები.** 1. თბილისი — 929; 2. აჭარა — 912; 3. ქუთაისი—668.

**ვაჟები.** 1. აჭარა — 853; 2. თბილისი — 833; 3. ქუთაისი —711.

**საერთო გუნდური პირველობა.** 1. თბილისი — 354 ქულა; 2. აჭარა — 304; 3. ქუთაისი — 100 (შედეგები დაანგარიშებულია კოეფიციენტების გათვალისწინებით).

**გასაგებია** სიხარული ამ ოთხი ნორჩი მოკრივისა, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ სპორტულ სარბიელზე. სულ ახლახან, დნეპროპეტროვსკში გამართულ თანატოლთა საკავშირო ასპარეზობაზე, 1976-77 წლებში დაბადებული ჭაბუკები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის და ოთხივემ უძლიერესის სახელი მოიპოვა. ისინი სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის რესპუბლიკური სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან. შეჯიბრებისათვის ისინი მწვრთნელების დ. გელაშვილისა და მ. ამირიანის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ.

ყველაზე მსუბუქი წონის (32 კგ) არჩილ ბროლაძის (მარცხნიდან პირველი) ანგარიშზე სულ 5 ბრძოლაა, აქედან 2 მან დნეპროპეტროვსკის რინგზე გამართა და გაიმარჯვა კიდეც. მისი მუდმივი მწვრთნელია დ. შიუკაშვილი. არჩილის მეგობრების — ედუარდ ოვასეპიანის (34 კგ, მწვრთნელი ა. ბორტნიკოვი), ზაზა მამედოვისა (42 კგ, მწვრთნელი დ. შიუკაშვილი) და არმენ ალაჯანიანის აქტივი უფრო „სოლიდურად“ გამოიყურება. მათ 11-12 ბრძოლა აქვთ, დნეპროპეტროვსკში 2-2 შეხვედრა მოიგეს და ოქროს მედლები დაიმსახურეს.



ს უ რ ა თ ზ ე: (მარცხნიდან) ა. ბროლაძე, ა. ალაჯანიანი, ე. ოვასეპიანი, ზ. მამედოვი.

გენადი ხანაიას ფოტო.

**წარუმატებლობა ტულონში**

**საფრანგეთის** ქალაქ ტულონში დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, სადაც ერთობ წარუმატებლად გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრები. ტურნირის ბოლო დღეს საბჭოთა ფეხბურთელებმა მეშვიდე-მერვე ადგილებისთვის ბრძოლაში დაამარცხეს ამერიკის გუნდი და ბოლოსწინა ადგილზე გავიდნენ.

პირველი ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის და ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. გაიმარჯვეს ინგლისელებმა — 2:1.

**„სპორტპროგნოზი“**

**21-ე ტირაჟის შედეგები (26 მაისი)**

**1—2, 2—2, 3—X, 4—1, 5—1, 6—1, 7—X, 8—2, 9—2, 10—X, 11—X, 12—X, 13—1.**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**„სპორტლოტო“**

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1990 წლის 21-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 16 (ცხენოსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 29 სასტენდო სროლა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 6 (ძიუდო), 10 (წყალბურთი), 17 (საციგურაო სპორტი), 30 (ძალოსნობა), 36 მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

# კვლავ „იუგოპლასტიკა“

**არ შევცდებით,** თუ ვიტყვით, რომ წლევანდელი სეზონი კვლავ სპლიტის „იუგოპლასტიკას“ ტრიუმფით აღინიშნა. თავად განსაჯეთ: ჯერ იყო და „იუგოპლასტიკამ“ იუგოსლავიის თასი მოიპოვა, შემდეგ ბრწყინვალედ იასპარეზა ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, სადაც ფინალურ მატჩში დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა“ და ბოლოს დამაჯერებლად გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში. აქვე უნდა აღინიშნოს მოპოვებული მეორე ადგილი ფირმა „მაკდონალდსის“ მიერ გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში. „იუგოპლასტიკამ“ პირველი ადგილი მხოლოდ პროფესიონალებს დაუთმო— — ანგარიშით 129:135 დამარცხდა „დენ ვერ ნაგითსთან“.

იუგოსლავიის ჩემპიონატის სუპერფინალში (სუპერფინალური მატჩების სერია წყდება 3 მოგების შემდეგ) ერთმანეთს შეხვდნენ სპლიტის „იუგოპლასტიკა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“. ნახევარფინალში სპლიტელებმა ზაგრების „ციბონას“ სძლიეს, ხოლო ბელგრადელებმა — ზადრის „ზადარს“.

პირველი მატჩი სპლიტში გაიმართა და მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ტაიმის შემდეგ „იუგოპლასტიკას“ გამარჯვება არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა. მათი უპირატესობა საკმაოდ სოლიდური იყო — 58:29. არც მეორე ტაიმში შეცვლილა რაიმე და „იუგოპლასტიკამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 98:70. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: დუშან ივანოვიჩი (20 ქულა) და დინო რაჯა (19).

მეორე შეხვედრა ბელგრადში გაიმართა და გაცილებით უფრო დაძაბულად წარიმართა, რაც, ადგილობრივი პრესის აზრით, იმით აიხსნება, რომ „იუგოპლასტიკას“ ლიდერს დინო რაჯას (26 ქულა) ამჯერად აკლდა პარტნიორების აქტიური მხარდაჭერა. „ცრვენა ზვეზდამ“ მოიპოვა ძალზე ძნელი გამარჯვება — 69:67 (45:42).

მესამე მატჩი ბელგრადში გადამწყვეტი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ „იუგოპლასტიკამ“ შეძლო მატჩის მოგება სტუმრად. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, შედარებით თანაბარი თამაში მხოლოდ პირველ ტაიმში იყო, რომელიც „იუგოპლასტიკამ“ ოთხი ქულით მოიგო — 32:28. მეორე ტაიმში მოედანზე მხოლოდ „ერთი გუნდი“ იყო. „იუგოპლასტიკას“ უპირატესობა აშკარა იყო და საბოლოოდ ქულათა სხვაობამ 30 მიაღწია — 93:63. გამარჯვებულ გუნდში საუკეთესონი იყვნენ: ივანოვიჩი (29 ქულა), პერასოვიჩი (17), რაჯა (13) და კუკოჩი (12).

ამის შემდეგ, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ „იუგოპლასტიკამ“ შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული, რადგან სუპერფინალური სერიის დასკვნით ორ მატჩს იგი სპლიტში ატარებდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მათ ორი შეხვედრიდან ვერცერთი ვერ მოეგოთ.

მეოთხე მატჩი „იუგოპლასტიკას“ სრული უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმის შემდეგ წინ სპლიტელები იყვნენ — 50:44. მეორე ტაიმში „იუგოპლასტიკას“ უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, რაც განპირობებული იყო „დიდი სამეულის“ ბრწყინვალე თამაშით: დუშან ივანოვიჩი (32 ქულა), დინო რაჯა (26), ტონი კუკოჩი (25). 113:91 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „იუგოპლასტიკამ“ და ზედიზედ მესამედ მოიპოვა იუგოსლავიის ჩემპიონის წოდება.

მერაბ კალანდაძე.

**ინვალიდთა და საინვალიდო სპორტით დაინტერესებულ ადამიანთა საყურადღებოდ!**

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პრეს-ცენტრი იუწყება, რომ გაიხსნა ფედერაციის საბანკო ანგარიში.

გაცნობებთ რეკვიზიტებს:

**„ივერთბანკი“ მრეწვმშენბანკი, საოპერაციო სამმართველოს ანგარიშის №000161700.**

**ფედერაციის მისამართია:** ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი,29. ტელეფონი: 93-75-15.



აქვე გაცნობებთ, რომ 9 ივნისს ინვალიდთა შორის მკლავჭიდში აბსოლუტური ჩემპიონისათვის ჯილდოდ დაწესებულია 1000 (ათასი) მანეთი; ეს შეჯიბრება ვერის ბაღში „მართვეს“ დარბაზში გაიმართება. დასაწყისი 11 საათზე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-56,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„შერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხაშარაულის, 39.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779